



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-411/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო
ორგანიზაციის „კავშირი 21-ე საუკუნე“ დამკვირვებლის რეგისტრაციის ბათილად
ცნობის თაობაზე

ქ. თბილისი

2017 წელი 19 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინსტრაციული კოდექსის მე-60¹ და 62-ე მუხლების საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. ბათილად იქნეს ცნობილი „ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „კავშირი 21-ე საუკუნე“ დამკვირვებლის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2017 წლის 18 ოქტომბრის №02-397/2017 განკარგულება №1029 გელა ბიბილურიძის დამკვირვებლად რეგისტრაციის ნაწილში, ვინაიდან დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. კერძოდ, №36 ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 23 სექტემბრის №37/2017 განკარგულებით გელა ბიბილურიძე რეგისტრირებულია საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით (რიგითი №26).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი